

# საპატრიარქოს წყობანი



საქართველოს  
საპატრიარქოს  
პრესცენტრის  
ყოველკვირეული  
გამოცემა

№12

922

28 მარტი - 3 აპრილი 2019 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან  
ფასი 70 თეთრი

- ✠ პატრიარქის ქადაგებები
- ✠ „თანამედროვე ადამიანი  
ვირტუალური სამყაროს  
ტყვედ იქცა“  
გვესაუბრება  
მღვდელი  
დავით  
მექვაბიშვილი
- ✠ ჯვართაყვანისცემა
- ✠ გვიანი ანტიკური ხანის  
ნოკლათონური ტრადიცია  
შუა საუკუნეების  
საქართველოში
- ✠ მაგისტრის დიპლომების  
გადაცემის საზეიმო ცერემონია
- ✠ „...გვიყიდან ჩვენ შენ ღმრთისა  
სისხლითა შენითა  
ყოვლისაგანვე თესლისა და  
ენისა და ერთა...“
- ✠ დეკანოზი  
გაბრიელ გარნაბიშვილი



სადაც  
ჯვართა,  
იქ არის  
ქრისტი



✠ გაერთიანება  
საპატრიარქოს  
„გემოვანი“ და  
კური „მჯათაგა“

# მაგისტრის დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონია

2019 წლის 18 მარტი ახალი საქართველოს უნივერსიტეტისთვის ისტორიული დღე იყო — უნივერსიტეტში ქრისტიანული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადისთვის დიპლომების გადაცემის ცერემონია ჩატარდა. ხსენებული ნაკადი ახალი საქართველოს უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე 2016-2018 წლებში სწავლობდა და ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველ თაობას წარმოადგენს. შესაბამისად, ეს დღე მნიშვნელოვანი იყო იმ აზრით, რომ პირველად მოხდა დიპლომების გაცემა — უნივერსიტეტის კედლებში მიღებულმა ცოდნამ ოფიციალური სტანდარტების მიხედვით დადასტურებული სახე მიიღო და სახელმწიფო დოკუმენტით განმტკიცდა.

ღონისძიება გახსნა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორმა, კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის დირექტორმა თენგიზ ირემაძემ. მან ქრისტიანული ფილოსოფიის აქტუალობასა და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრა, ასევე წარმოაჩინა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სამუშაო პროცესის მნიშვნელობა; მან სიტყვა გადასცა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის რექტორს, ფილოსოფიის დოქტორსა და პროფესორს, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლს (ბერბიჭაშვილი), რომელმაც ისაუბრა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის როლსა და მისიაზე. მეუფე გრიგოლმა ისტორიული ფაზისის ფილოსოფიურ ტრადიციაზე გაამახვილა ყურადღება და ამის ფონზე თანამედროვეობაში ფოთისა და



ხობის ეპარქიაში, ეკლესიის სივრცეში ფილოსოფიური ტრადიციის განახლებას გაუსვა ხაზი. ამის შემდეგ მიტროპოლიტმა გრიგოლმა კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადასცა დიპლომები. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი დარჯანია, ასევე — ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები: ლალი ზაქარაძე, მიხეილ გოგატიშვილი და გიორგი ხუროშვილი.

ახალი საქართველოს უნივერსიტეტის დიპლომები ქრისტიანული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის 14 კურსდამთავრებულს გადაეცა.

მათ შორის იყვნენ სასულიერო პირებიც. მაგალითად, პირველი ნომრით აღბეჭდილი დიპლომი გადაეცა დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის მღვდელმსახურს, არქიმანდრიტ დიონისე გვიმრაძეს, რომელიც სწავლას განაგრძობს ახალი საქართველოს უნივერსიტეტში, ქრისტიანული ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაზე (სადოქტორო პროგრამაზე სწავლას მთლიანობაში განაგრძობს კურსდამთავრებულთა ამ ნაკადის 5 სტუდენტი). საზეიმო ცერემონიის შემდგომ დასწრე აუდიტორიის წინაშე სიტყვით წარსდგნენ თავად კურსდამთავრებულები, რომლებმაც საგანგებო მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და პროფესორ-მასწავლებლებს განუული შრომისათვის.